საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 4 23 0000634515

23/05/2023

შპს - ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში"
საჯარო პოლიტიკის და მმართველობის (ინგლისურენოვანი)
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე

1. **გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები**

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.
1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.
1.3. აკრედიტაციის დებულების 27-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება
2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2022 წლის 28 დეკემბერის №01/126 წერილით წარმოდგენილ იქნა შპს - ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში სააკრედიტაციო განაცხადი (ცენტრში რეგისტრაციის -

№1672091, 29/12/2022, №1668749, 29/12/2022) "საჯარო პოლიტიკის და მმართველობის" (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე.
2.2. ცენტრის 2023 წლის 16 იანვრის №32671 ბრძანების საფუძველზე ,,შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში“ ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად.
ცენტრის 2023 წლის 10 თებერვლის № 154761 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი "საჯარო პოლიტიკის და მმართველობის" (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით განახორციელა 2023 წლის 27 თებერვალს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2023 წლის 5 მაისს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციების მიხედვით მიიჩნია, რომ 1.1, 3.2 და 4.1 კომპონენტის შეფასება

განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებლად“, ნაცვლად „სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რამაც შეცვალა აკრედიტაციის მეოთხე სტანდარტი და ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 11 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს იქნა შპს - ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოშიმიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი № 1-ით გათვალისწინებულ " საერთაშორისო სამართლის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2024 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წელში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით;
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "საჯარო პოლიტიკის და მმართველობის" (ინგლისურენოვანი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 23 მაისის სხდომის № 582280 ოქმის №05 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 3).
4. დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

4. რეკომენდაციები:

4.1. რეკომენდებულია, კურიკულუმს დაემატოს შედარებითი კონსტიტუციური და შედარებითი ადმინისტრაციული სამართლის სასწავლო კურსები.

4.2.რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს მმართველობითი მიმართულების სასწავლო კურსებით.

4.3 რეკომენდებულია, კურსების „პოლიტიკის დოკუმენტების წერა“ და „პოლიტიკის დაგეგმვა, რისკების მართვა“ გაერთიანდეს და მოხდეს თემების კონსოლიდაცია.

4.4 რეკომენდებულია, კურსებისთვის „პოლიტიკის დოკუმენტების წერა“ და „საჯარო პოლიტიკის თეორია და ფორმირება“ სასწავლო ლიტერატურის დივერსიფიცირება.

4.5 რეკომენდებულია, დაწესებულების ვებ-გვერდზე, ბიბლიოთეკის ნაწილში სამენციერო ბაზების გამოყენების წესის შესახებ, არსებობდეს ინფორმაცია (წვდომის რა მექანიზმები არსებობს, როგორ უნდა მოიქცეს დაინტერესებული პირი), რათა ნებისმიერმა სტუდენტმა და/ან პროფესორმა მოახერხოს მოცემული რესურსებით სარგებლობა და გამოყენებისას ყოველ ჯერზე არ მოუხდეს ბიბლიოთეკის თანამშრომელთან კომუნიკაცია.

4.6 რეკომენდებულია, პროგრამა გაძლიერდეს დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალით.

5. რჩევები

5.1 საგნებში საჯარო პოლიტიკის თეორია და ფორმირება; რეფორმები და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია; პოლიტიკის დაგეგმვა, რისკების მართვა და განხორციელება; განათლების პოლიტიკა და მართვა (არჩევითი) სასურველია, ერთ ლექციაზე განსახილველი საკითხების რაოდენობის შემცირება ან ლექციისთვის განკუთვნილი დროის გაზრდა.

5.2 სასურველია, ლიტერატურის შესყიდვის (ან ნებისმიერი სხვა შესყიდვისას) პროცესში; მინიმუმადე იქნეს დაყვანილი ინტერესთა კონფლიქტის გარემოება, რაც საფრთხის შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს მთლიანად პროცესისთვის.

5.3 სასურველია, სასწავლო კურსში „რეფორმები და ეკონომიკური განვითარება“ შემცირდეს სავალდებულო ლიტერატურის რაოდენობა.

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 5 მაისს.

7. რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 2024 წლის 05 მაისი.

8. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო პოლიტიკა და მმართველობა Public Policy and Administration
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის მაგისტრი Master of Public Administration
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, ვეფხისტყაოსნის ქ. 92.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე	-

	სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2023 წლის 5 მაისი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	2024 წლის 5 მაისი
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2024 წლის 31 დეკემბერი